ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3454286

ნომერი: AR1528835

თარიღი : 31.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 08.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 26 , (ნაკვ. 40/014) / ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 26 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯამრიშვილი პ/ნ 01009002919
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 20 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დასახლება ორხევი, ახვლედიანის ქუჩა, N 26, (ნაკვ.40/014)/დასახლება ორხევი, ახვლედიანის ქუჩა, N26_ში შპს „ბუმბა“_სა და შპს „რუსო“_ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (ნაკვ. N 01.19.10.040.059), სამსახურის 24/01/2017წ. №3058670 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული, შენობის ფასადზე I კლასის სამღებრო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაცია N 882017277558 და მომზადების თარიღი 11/04/2017წ, საკადასტრო კოდი N 01.19.10.040.059 ფოტომონტაჟით, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები საპროექტო ფოტომონტაჟი, სქემატური ნახაზი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დასახლება ორხევი, ახვლედიანის ქუჩა, N 26, (ნაკვ.40/014)/დასახლება ორხევი, ახვლედიანის ქუჩა, N26_ში შპს „ბუმბა“_სა და შპს „რუსო“_ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (ნაკვ. N 01.19.10.040.059), სამსახურის 24/01/2017წ. №3058670 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შენობის ფასადზე I კლასის სამღებრო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას.
აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.